ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №128

2011 წლის 10 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დადგინდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ საჩინოში მდებარე 54.0 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის იდენობით.
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დამტკიცებული თანდართული ნუსხის შესაბამისად მისი შემდგომი განკარგვის მიზნით, იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**